# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე. თ. მუხრანსკის სახლებ-[illegible] ქვემოთ

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე შაური.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.


პატრონის-რძალი საქართველოისა მარიამ ისაკის ასული და კნეინა თამარ დავითის ასული გრუზინსკისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს—პირველი თავის შვილის და მეორე ქმრის **თავადის ირაკლი გრუზინსკის გარდაცვალებასა 27-ს ამა აპრილს.**

პანაშვიდა მიცვალებულისა იქნება 29 და 30 აპრილს, საღამოს 7 საათზედ საკუთარს სახლში. მიცვალებულს გამოასვენებენ სახლიდამ სიონის სობოროში შაბათს 1 მაისს, დილის 10 საათზე; დაასაფლავებენ მცხეთის სობოროს სამეფო სასაფლაოზედ კვირას, 2 მაისს, დილის 11 საათზედ.

## „დროება“

პირველის მაისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი.
ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

### განცხადება

გულ-მხურვალედა ვსთხოვთ, ვისაც კი შეუძლიან მოახერხოს და განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლებს რომ ჩვენი სახალხო შაირები, ზღაპრები, გამოცანები და სხვა ყოველგვარი ზეპირ-გადმოცემანი, შეძლებისა და გვარად, მოაგროვონ და ჩემ სახელზედ, ან „დროებისა“ და ან „შრომის“ რედაქციაში გამოაგზავნონ ხოლმე. ამათ ისინი რიგიან სამსახურს გაუწევენ ჩვენს დედა-ენას და კერძოთ მეც დამავალებენ. მხოლოდ ამას კი ვსთხოვთ, რომ გადმოწერის დროს, არაფერი გაასწორონ და თავისი არა ჩაუმატონ-რა; დასწერონ ისე, როგორც გაიგონონ, უმეტ-ნაკლებოთ, და აგრეთვე ისიც მოიხსენიონ—თუ ჩვენის ქვეყნის რომელ კუთხეში გაუგონიათ იმათგან დაწერილი შაირი, ზღაპარი და სხვ.

უმორჩილესად ვსთხოვთ ქართველ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს, რომ მათ გაზეთ ჟურნალებშიაც გადაბეჭდონ ეს თხოვნა.

აკაკი.

## ტელეგრამმა

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

**ასხაბადი, 27 აპრილს.** დღეს შუადღეზე მოვიდა აქ მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი. გზაზე ყიზილ-არვატიდამ ასხაბადამდის ყველგან თემლები დახვდნენ და მადლობას უცხადებდნენ კარგის გამგეობისათვის. თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა საჭიროდ დაინახა კრასნოვოდსკისა და მოლლა-ყარის რკინის გზით შეერთება და გეოქ-თეფემდის გაგრძელება ამ გზისა. ატრეკიდამ კაკადუშაკი და ტენჯინის ოაზისის სხვადა-სხვა თემის თურქმენები მოვიდნენ და მიესალმნენ თავადს. დღეს თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა უნდა დაათვალიეროს ახლად-გაკეთებული ციხე, ჯარის კარავები, ჰოსპიტალი. ხვალ ჯარს დახედავს და დოღი იქნება. 28-ს წავა აქედამ ატრეკით.

(„სამხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**დუბლინი, 26 აპრილს.** მოკლულნი კავენდიში და ბორკ დასეირნობდნენ, ამ დროს ამათ მახლობლად გაჩერდა ეკიპაჟი, რომლიდამაც ვიღაცები გადმოხტნენ და რამდენიმე დაჰკრეს ამათ დიდი დანა კისერში და გულში; საშინლად იბრძოდნენ მოკლულები და ამის გამო ამათი გვამი სასტიკად დასახიჩრებულია; ის ადგილი, საცა მკვლელობა მოხდა, სისხლით არის შეღებილი. საღამოს, როცა ეს ამბავი შეიტყეს მინისტრებმა, შეგროვდნენ და მოლაპარაკება ჰქონდათ. ჯერ არავინ არ არის ამ საქმეზე დატუსაღებული. ლორდ კავენდიშმა იმ დღეებში დაიჭირა ირლანდიის მინისტრის ფორსტერის ადგილი; ის იყო მარკიზ გარტინგტონის ძმა და გლადსტონის მკვიდრი ძმის-წულის ქმარი.

## ბათომის და ახალციხის თავად-აზნაურობა

ამ ჟამად ტფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურთა კენჭის საქმეზე არის ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიქცეული. ქართველობა აფასებს ამ უფლებასა და ეხლა-და-ეხლა თითქოს მომატებით გამოელვიძ, სურვილი, რომ, რამდენადაც კი შეუძლია, დაეხმაროს თავის აწმყო და მომავალს კეთილდღეობასა.

ეს გარემოება ჩვენის საზოგადოებისათვის ძვირფასია მით უმეტესად, რომ თავად-აზნაურობა თავის საჭიროების მოწყობას ისე ცდილობს, რომ მისი დაკმაყოფილება არ ეწინააღმდეგებოდეს სხვა წოდებათა საჭიროებას, არამედ პირ-იქით შველოდეს და ხელს უწყობდეს. დიაღ შესამჩნევი და სასიქადულო მოღვაწეობაა და ერთს დიდებულს ფურცელს დასძენს ქართველ თავად-აზნაურობის სახელოვანს მატიანესა. წარსულ დროთ მოღვაწეობა ამ წოდებისა ქართველობისაგან დაფასებულია.

რაც შეეხება აწმყო რუსთ მფლობელობის დროსა, იგივე უნდა ვსთქვათ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოებასთან თუ არ უმეტესად, არა ნაკლებად დაფასებული და დაჯილდოებულია ჩვენის თავად-აზნაურობის ღვაწლი თვით მმართებლობისაგან. არა-ერთხელ გამოთქმულა მმართებლობისაგან მისი სახელოვანი ღვაწლი.

მართლათაც ჩვენი თავად-აზნაურობა მამა-პაპის ჩვეულებისამებრ გარეშე მტრების შემოსევის დროს თავ-განწირულებით გასულა ბრძოლის ველზე და მრავალი სახელოვანი შვილი გამოუჩენია. მშვიდობიანობის დროს სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში მრავალი კეთილ-სვინიდისიანი აღმსრულებელი მოუცია: მხედარნი, ადმინისტრატორნი, მსაჯულნი, სულიერნი მწყემსნი, მასწავლებელნი და სხვანი.

ყოველს დასაწყებ საქმეში, რომელიც მმართებლობას უნდოდა შემოე-

---

(დროების) ფელეტონი, 28 აპრილი.

## ურიის ქალი

მოთხრობა პოლ შალინისა *)

(ნათარგმნი)

### III

ძალიან ლამაზი ქალი იყო სარრა. თეთრ-წითელი, მშვენიერი ტანადი და გაბადრული, როგორც მზე.

ერთ დღეს დილით, როდესაც სამსახურში წასვლას ვაპირებდი, ამ დროს შემოვიდა ბიჭი და გადმომცა წერილი.

რაღაც ალტაცებამ ამიტანა ამ წერილის დანახვაზე. ვასხენი და მართლაც მშვენიერი ქალი მიბარებდა საღამოსთვის. ქვემოდამ მოწერილი იყო: სარრა! მე შეუთვალე, უეჭველად მოვალ-მეთქი.

მთელი დღე ამ წერილის შინაარსის ფიქრში ვიყავი. რა უნდოდა მშვენიერ სარრას? რისთვის მიბარებდა? ვერ წარმომედგინა—თუ რა მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ ამ ქალს ჩემი გაცნობა და ნახვა მოუნდომებია. ამ გვარი ქალები ეტანებიან ან სიმდიდრეს, ან სილამაზეს და მე კი ერთი უბრალო საწყალი კაპიტანი ვიყავი და ამასთანავე ხანშიც შესული.

ერთის სიტყვით, ბევრ გვარი სისულელე მომდიოდა თავში. ისეთ ნაირად აღელვებული ვიყავი, რომ ჩემს ამხანაგებს უკვირდათ, ჭკუიდამ შემცდარი ვეგონე.

დადგა საღამო. მოვირთევი, გავიწკიპე ულვაშები და პატარა ხანს უკან შევდიოდი მშვენიერად მორთულ სასახლეში. მკრთალი სინათლე იყო გავრცელებული მთელ სახლში. მშვენიერად და ძვირფასად მორთული იყო სახლი, ფერად-ფერადი სპარსული ხალიჩები, ბალიშები და მუთაქები.

შევედი თუ არა, მომეგება ერთი მშვენიერი ქალი, დამიჭირა ხელი და მითხრა:

— დიდათ გმადლობთ, რომ მობძანდით.

— მე უნდა დაგიმადლოთ, უპასუხე მე, რომ დამიბარეთ.

— მე თქვენი შემწეობა მინდა ერთ საქმეში.

დავსხედით ერთმანერთის გვერდით. იმის მშვენიერმა ხმამ და ლაპარაკმა სრულებით გადამრია, ასე რომ უფრო ყურადღებას ვაქცევდი იმის ლაპარაკის ხმას, ვერემც საგანს.

რამდენიმე სიტყვით, შემატყობინა თავისი თავის გარდასავალი, რომელიც ადრევე ვიცოდი. პირველში, როდესაც გოგენმა წაიყვანა, ძალიან კმაყოფილი იყო თავისი მდგომარეობით და თავისუფლებით. შემდეგ მოსწყინდა ამ გვარი ცხოვრება, დაიწყო ნაღვლობა თავის სახლობაზე, დედ-მამის უნახავობამ ჩაუმწარა სიცოცხლე. ბოლოს თავის მოთხრობა იმითი გაათავა, რომ მთხოვა მივსულიყავი იმის მამასთან, რომელთანაც შეიტყო, რომ მეგობრად ვიყავი, ბოდიში მომეხადა მის მაგივრად და შერიგება მომეხერხებინა.

ალტაცებულმა იმისი ლაპარაკით და სილამაზით, უარი ვერ ვუთხარი, დავეთანხმე. დავპირდი, რომ რაც ძალი და ღონე მქონდა, მომეხმარა და დამეთანხმებია მამა მისი შერიგებაზე.

მოვბრუნდი სახლში გიჟივით. მთელი ღამე ამ ქალზე ფიქრმა აღარ დამაძინა. გათენებისას როგორც იყო ჩამეძინა ცოტა. ამ ძილმა ცოტა არ იყოს დამამშვიდა და მაშინ ვიგრძენ, რამდენათ სულელურათ მოვიქეცი, რომ შევპირდი ამ გვარი ძნელი საქმის ასრულებას, მაგრამ გვიანღა იყო.

### IV

მივედი ურიასთან მოსალაპარაკებლად. საშინლად გამიძნელდა იმისი დათანხმება.

— არა, არა! იძახდა ის, არ მინდა იმის ნახვა! თვალით ნუ დამენახვება! დაწყევლილიმც იყოს ის ღვთისაგან! დედა-მიწაც გასკდეს და ჩაიტანოს. თვალები დამიბნელდეს და აღარ

*) „დროება“, № 84.

ტანა ხალხის საკეთილდღეოთ და წარმატებისათვის, პირველად იხმობდა თანამემწედ ჩვენს თავად-აზნაურობას და არცა სცდებოდა მის მინდობისაგან. ამის გამო მმართებლობაც აფასებდა. უპირველესი საშუალება რომ თავად-აზნაურობის დახმარება მომეტებული და ნაყოფიერი იყოს, მის შვილებისთვის ფართო გზა უნდა გაეხსნა სასწავლებლებში. ამისათვის სტიპენდიები დაინიშნა საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში და გამრავლდა ჩვენში ნასწავლი და განვითარებული შვილები თავად-აზნაურობისა. რამოდენი სარგებლობა მოუტანა თვით მმართებლობასა და საზოგადოებასა ამას ნათლად ყველა ჰხედავს, საზოგადოება აფასებს ღირსეულად და მმართველნი დიდი ხანია ჰმოწმობენ. დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის ნათქვამი სიტყვა წაბრძანების წინათ, თავად-აზნაურობის მიმართ, ყველას ახსოვს.

ერთის სიტყვით, როგორც უნდა ვატრიალოთ, ჩვენს ხალხში ცხოვრების წინ ფეხის გადადგმაში პირველი წინა მოღვაწე თავად-აზნაურთა წოდება იყო, ახლაც არის და არა სხვა წოდება.

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ რომ ის უფლება, რაც ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების კეთილშობილთა ჰქონდათ, ზოგიერთ ნაწილს ძველ საქართველოს ქვეყნისას აქამომდე არ მისცემია. ეს ნაწილები არის ეხლანდელი ახალციხის და ახალქალაქის უეზდები ტფილისის გუბერნიაში. ეს ორი უეზდი 1829 წლის შემდეგ ერთ უეზდათ, ახალციხისად, ითვლებოდა ამ უკანასკნელ წლებამდე (1874), ისეთს მიყრუებულს მდგომარეობაშია, რომელშიაც სიცოცხლის მოძრაობა არა სჩანს, ჩვენს სხვა უეზდების შედარებით. მთელს უეზდში ჩარჩები და ვაჭრები უფლობენ, იქაური ძველი თავად-აზნაურობა დაშორებულია ყოველ გვარს გონებითს და ნივთიერს მოძრაობას, თვით ვაჭრების და ჩარჩების ხელში ჩავარდნილა და სოფლის გლეხ-კაცობისთვის ვერასფერში მხრის მომცემი ვერ გამხდარა.

მიზეზი ამისი ის არის, რომ არც გლეხად ითვლება, არც ვაჭარ-მოქალაქედ, სასწავლებლებში თავას გვარეულობას ქართლის სახლიკაცებს თავადიშვილებსავით გზა არა აქვს გახსნილი, გუბერნიის თავად-აზნაურთა კენჭში ხმა არა აქვს, იმასთან და იმასავით საზოგადო საქმეებში არ ვარჯიშობს. დარჩენილია წყალ გაღმა.

ახალციხის და ახალქალაქის თავად-აზნაურობის ამ გვარ ყოფას ძალიან ცუდი გავლენა აქვს სოფლის ხალხის ყოველ გვარს მდგომარეობაზე. ძნელი ჩამოსათვლელი არ არის, რამდენად შეუძლია სწავლა მიღებულ მებატონეს შემწე იყოს თავის მეზობლის სოფლის გლეხი კაცისა და რამდენი კარგი დამხმარე ყოფილა ჩვენს სოფლებში ამ გვარი თავადი ან აზნაური. სულ რო არა იყოს-რა, სიტყვით, რჩევით ბევრის გაჭირებისაგან გამოჰყავს. უკანასკნელ წლებში ჩვენს სოფლებში გლეხების სკოლების, ბანკების და დამზოგველ ამხანაგობის გამართვაში პირველი შემწე და გზის მასწავლებელი თავადი და აზნაური იყო მთელ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიაში. აგრეთვე ყოველ მოხელეს ვნახავდით აქა.

ახალციხის და ახალქალაქის უეზდები კი განზე იყო, როგორცა ვთქვით, ყოველს ამას იმ მიზეზისა გამო, რომ თავად-აზნაურობა გზა-გაუხსნელად დარჩენილია დღევანდლამდე და მაშასადამე ხალხის კეთილდღეობაში წინამძღვრობა ვერ გაუწევია. არ ხედავთ იმათში მხედარს, ადმინისტრატორს, მსაჯულს, მასწავლებელს, ქრისტიან მოძღვარს ან მეჰმადიანს ნასწავლ, შეგნებულს ხოჯას. ბატონობენ სულ სხვა ადგილის მოხელენი და აზრუმის გადმოსახლებული სომხები!..

ეს მდგომარეობა იქნება უარესში შევიდეს და არა უკეთესში, თუ აქაური თავად-აზნაურობა იმავე გაურკვეველს მდგომარეობაში დარჩა, როგორც ეხლაა.

საკვირველია, რა დაემართა კომისიას, რომელიც ამ ჩვიდმეტის წლის წინათ დაწესდა ახალციხის თავად-აზნაურთა უფლების გარკვევისათვის? იმ კომისიას მინდობილი ჰქონდა კავკასიის სხვა ადგილების ბაქოს და ერევნის ბეგების უფლებაც გამოერკვია. ნუ თუ სულ ერთად რო გათავდება, მაშინ ეღირსებათ ახალციხის ბეგებს თავის უფლების ცოდნა? მთელი უეზდის თავად-აზნაურების (ბეგების) დოკუმენტები გაშინჯეს, ნათლად აღმოჩნდა მათი ერთგვარობა ქართლის თავად-აზნაურებთან, დოკუმენტებით დაამტკიცეს, რომ ისინიც ქართველთ თავად-აზნაურთა ჩამომავალნი არიან, მხოლოდ სარწმუნოებით შეცვლილან. რაღა გაჭიანურება იყო საჭირო? აქ ცხადი იყო, რომ ამ უეზდისთვის მანც გაეთავებინათ და ოცოდ წელიწადი არ ეცდევინებინათ. ან უფრო უკეთესი იქნებოდა, ყოველი შეკრებილი ცნობა პირ-და-პირ ტფილისის ანუ ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა კრებაში გადაეცათ და დაწესებულის წესით ეცნათ თავად-აზნაურათ, ვინც ღირს იყო. ამისი გათავება ძალიან ადვილათ შეიძლებოდა და ახლაც ვგონებთ ადვილად შეიძლება, რომ დეპუტატთა კრებას გადაეცეს მალეც გათავდება, ამიტომ რომ საქმე მხოლოდ ჩამომავლობის დამტკიცებას შეეხება და არა მამულის მფლობელობას. მე რომ ახალციხის ბეგი ვყოფილიყავი და ძველი საქართველოს თავად-აზნაურის ჩამომავალი, პირ-და-პირ ტფილისის ან ქუთაისის დეპუტატთა [illegible] დი ქაღალდს კეთილშობილთ წოდებაში ჩასათვლელად.

მაგრამ ერთი რამ აბრკოლებს ამ საქმეში. რაკი ბეგია და მუსულმანი არისო, სხვა უფლება უნდა ჰქონდათ. ეს მართალია, რომ ერევნის, განჯის, ბაქოს და სხვა პროვინციებში, საქართველოს გარეთ სხვა უფლება ჰქონდათ. ჩვენ იმათ არ შევეხებით; მაგრამ რაც შეეხება ძველ საქართველოს პროვინციებსა, თუმცა ეს პროვინციები ოსმალოს ეჭირა, ძველ თავად-აზნაურებს იმ ადგილებში იგივე უფლება დარჩათ, რაც წინათ ჰქონდათ, ესე იგი კეთილშობილათ ითვლებოდნენ.

ახალციხის და ახალ-ქალაქის მაზრებში რუსეთის შემოერთებამდე ბეგები იყვნენ მებატონენი. ზოგს იქნება მამული არა ჰქონდეს, როგორც ქართლ-კახეთში ზოგს არა აქვს, მაგრამ თავად-აზნაურობის წოდება აქვს და სარგებლობს იმ უფლებით, მაგალითად შვილები სახელმწიფო ხარჯით ეზდება სასწავლებელში.

ერთის სიტყვით, ახალციხის და ახალ-ქალაქის ბეგი იგივე ქართველი თავადია ანუ აზნაურია და სრული უფლება აქვს პირ-და-პირ ეს სახელი და უფლება მიენიჭოს, აგრეთვე იგივე უფლება მიენიჭოს, როგორც სხვა უეზდებსა აქვს უეზდის მარშლის ამორჩევისა და საგუბერნიო კრებაში მონაწილეობა.

ვისურვოთ, რომ მთავრობამ ამას განს ყურადღება მიაქციოს თავის და საზოგადოების სასარგებლოდ, მალე გაუხსნას ახალციხის და ახალქალაქის თავად-აზნაურობას გზა.

არ შეგვიძლია აქვე არ მოვიხსენიოთ ახლად შემოერთებული ბათუმის გუბერნია და არტაანი. ამ ნაწ-

---

ნახოს თავის დღეში, სინათლე, თუ კი ეხილავს მას; ხელებიც გამიხმეს, თუ ოდესმე მას ვახლებ.

ჩემთვის უფრო სასიამოვნო და ადვილიც იქნებოდა მეომრა, რომელიმე მხეც ხალხთან, ვიდრემც ამისი დათანხმება. ავუწერე იმის ქალის სიწანული, იმისი ცრემლი ჩემ წინ დაღვრილი, ერთი სიტყვით მოვიხმარე ყოველ გვარი საშუალება, რომ რამე გავლენა მომეხდინა და დამელბო იმის გული.

დედა-მისიც იქ იყო, ყურს გვიგდებდა, მაგრამ არაფერს კი არ ამბობდა. მის სახეს სიბრალული არ ეტყობოდა. ბოლოს მე შევამჩნიე იმის სახეზე ღიმილი; მეგონა, რომ ჩემმა მჭევრ-მეტყველებამ გასჭრა და იქონია რამე გავლენა. ამის გამო მას მივმართე, შევეხვეწე, რა ვიცი რას არ ვეუბნებოდი. ბევრი ლაპარაკის შემდგომ იმანაც ამოიღო ხმა თავის ქალის შესახებ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი წითელი ვიყავ, როგორც ჭარხალი. ოფლი ღვარივით გადმომწკრიალებდა. ბევრი მოლაპარაკება ჰქონდათ ერთმანერთში ებრაულად; ბოლოს, როგორც იყო, დათანხმდნენ. მე სიხარულით თვალები ამეხვია ასე, რომ ვერც კი შევამჩნიე—თუ რა იხატებოდა ამ დროს მათ სახეზე. მერე კი, როცა დავფიქრდი და წარმოვიდგინე ის სურათი დავრწმუნდი, რომ იმათ ამ თანხმობაში რაღაც განძრახვა ჰქონდათ.

გადავწყვიტეთ, რომ იმავე საღამოს სარრა უნდა მოსულიყო მარტოკა თავის დედ-მამის სანახავად და მაშინ ერთად გადასწყვეტდნენ დარჩება ის იმათთან, თუ არა.

— კარგი ვეუბნებოდი მე ჩემს თავს, დიდის სიამოვნებით და ხელების სრესით. ურჩალ, ბიჭო, ძალიან კარგათ აასრულე შენი მონდობილობა და მოვალეობა!

შევედი ყავახანაში გულის გასაგრილებლად. დავწერე პატარა ბარათი სარრასთან და ვაგზავნე ბიჭის ხელით.

რატომ მე თითონ არ წავედი? უკაცრავად გახლავართ, მაგრამ ვერ ვიტყვი. მხლა რომ მომაგონდება, სწორედ ვწითლდები. იმ ხანში ისეთი სუსტი ვიყავი კიდევ, რომ ქალის დანახვაზე ვდნებოდი...

მთელი დღე მშვიდობიანად გავატარე. მხიარული ვიყავ და მადლიელი ჩემი თავისა. ჩემს ამხანაგებსაც კი უხაროდათ ამ გვარი მდგომარეობა. სხვა-და-სხვა მახვილობას და სასაცილო ამბებს იგონებდნენ და გულიანად მაცინებდნენ.

რამდენიმე ჯერ დავაპირე სარრასთან წასვლა, მაგრამ ვერ გავბედე.

მოვიდა დრო იმათი შეხვედრისა. ძალიან აღელვებული ვიყავი იმ აზრით, თუ რა ითქმება, ამ ჟამად იმათში, რა ალტაცებით შეხვდებიან ერთმანერთს და რა სიხარულით ჩაიკრავდნენ გულში მოხუცებული ურიები თავიანთ ურჩ შვილს. უეჭველია ეს ძალიან მაღელვებდა და მინდოდა, მეც გავრეულვიყავ და მენახა ამათი ბედნიერება, რადგანაც პირველი მიზეზი ამათი შერიგებისა მე ვიყავი...

გულის კანკალით გავსწიე ებრაელის სახლისკენ. ქუჩის ბოლოს შევდექი, ადამიანის ძის გასასანება არ იყო... დავდექი ებრაელის სახლთან და ჩუმათ უგდებდა ყურს; მაგრამ ჩემი გულის ცემის მეტი არაფერი მესმოდა... რაღაც საშინელმა კანკალმა ამიტანა... რისა მეშინოდა—მე თითონ ვერ წარმომიდგენია.

სრულებით არ ეტყობოდა, რომ ამ სახლს დაუბრუნდა დიდი ხნის უნახავი ურჩი შვილი. მთელი სახლი ბნელებული იყო; უფრო ჭირისუფლის სახლს ჰგავანდა. სიცივემ რბილში და ძვალში გამატანა საშინელი გრძნობა მახრჩობდა...

უეცრად ერთი რაღაც საშინელი მძიმე ყვირილი მომესმა შიგნიდამ სახლი ამიდუღდა... მიველი კარებთან ახლოს, ყური მივადე გასაღების ხვრეტს. ჯერ სრულიად არაფერი ხმაურობა არ ისმოდა, მერე ჩურჩულივით რაღაც გავიგონე... უთუოდ ძალიან მაღლა ლაპარაკობდნენ; ბოლოს ყველას ხმა ადვილათ გავარჩიე

…ლებში საკმაოდ ბლომად არიან ძველი თავად-აზნაურთა ჩამომავლობისანი, რომელთა მეგვარენი სახლის-კაცნი ქართლში და იმერეთში) სახლობენ. ყველამ კარგათ იცის თავისი ჩამომავლობა და გვარი, იციან—სად სახლობენ იმათი სახლი-კაცნი.

…შველია, მალე დაიწყება გამოძიება მათის უფლებისა და კომისიები … ეს კომისიები ორმოც წელიწადს იმუშავებენ, ათასები დაიხარჯება სახელმწიფო ხაზინიდამ და ბოლოს ვინ იცის როდის მოეღოს.

საქმე, ვგონებთ, უფრო ადვილად და სახელმწიფო ხაზინიდამ ერთი კაპეიკის დაუხარჯველათ შეიძლება გათავდეს. საკმაო იქნება გამოეცხადოს ბათომის გუბერნიის და არტაანის ოკრუგის ბეგებს ალიებს, რომ ვინც ძველი თავად-აზნაურთა ჩამომავალია, აძიონ თავისი უფლება ქუთაისის ანუ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატთა კრებაში.

რამდენათაც გაგვიგონია, უმეტესი ნაწილი ახალ შემოერთებულ ქვეყნების მეგვარენი სახლობენ გურიაში და ზოგნი ქართლში; დანარჩენები სამეგრელოში და იმერეთში.

ჩვენ კიდეცა გვგონია, მმართებლობა სრულებით წინააღმდეგი კი არა, მოხარულიც იყოს, რომ თვითონ იქაურებმა პირ-და-პირ დაიწყონ თავის წოდების ძიება; ამიტომ რომ შეუმსუბუქებს შრომას და ხარჯსაც არაფერს არ მისცემს.

მეორეს მხრით ჩვენ გვგონია, რომ ბათომის ბეგიები და ალიები თავის ძველ კუთვნილის, ოსმალოს მთავრობისაგან 1850 წ. წართმეულის, უფლების ძებნას ხალისით დაიწყებენ და ადვილადაც შეასრულებენ. ყველას ახსოვთ თავისი ჩამომავლობა. საჭირო იქნება მხოლოდ, რომ ყოველი ფორმები გზა უჩვენონ მათ თავის წოდების ძებნისა და დამტკიცებისათვის.

ამაში ვალდებულება აქვთ როგორც ჩვენ ქართველ თავად-აზნაურობას, აგრეთვე ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ ჩვენს ახალ-შემოერთებულ ძმებს შრომა შეუმსუბუქონ.

ამ საქმეს ძალიან ბევრი დრო რომ მოუნდეს, ორი წელიწადი საკმარისი იქნება.

შემდეგ, რაკი დამტკიცდება მათი ჩამომავლობა, რასაკვირველია, ძნელი იქნება სიშორის გამო, რომ პირ-და-პირ გურიის ან ქუთაისის, ან გორის უეზდს მიეწერონ. საჭირო იქნება ადგილობრივად უეზდების თავად-აზნაურთა კრების უფლება მიეცეთ. ამ გვარი კეთილშობილთა უეზდები შეიძლება რამდენისამე მაზრისაგან შეერთდეს. მაგალითად არტვინისა, ახალ-ქალაქისა და ზედა-აჭარის თავად-აზნაურობა ახალციხის უეზდს მიეწეროს და დანარჩენი ნაწილი ბათომის გუბერნიისა ერთ უეზდათ შესდგეს. არ დაგვავიწყდეს, რომ აქ ადმინისტრატიულს უეზდს არ ვახსენებთ. ესენი შეიძლება შეუერთდენ პირველი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას და მეორე ქუთაისისას. ადგილის სიპატარავე, წყლითა და ხმელით გზის სიადვილე (რკინის გზა) ძალიან ახლოვებს ამ ახალ-შემოერთებულ ადგილებს ჩვენს გუბერნიებთან.

ამ გვარად სახელმწიფო და საზოგადო ინტერესი თხოულობს—ახალციხის და ბათომის კეთილ-შობილთა მიეცეს იგივე უფლება, რაც საქართველოს თავად-აზნაურობას მინიჭებია.

დიდი შეცდომა იქნება ამისი დაგვიანება ყველასთვის, როგორც ადგილობრივის საზოგადოების წარმატებისათვის და თვით იქაურ კეთილ-შობილთათვის, აგრეთვე, თუ არ უმეტესად, მთავრობისათვის, რომელსაც ეჭირება იყოლიოს ყველგან თავისი დამხმარე და ერთგული შემწე.

## დღიური

† დღეს, 27 აპრილს, 12 საათზედ დილით, დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში მიიცვალა თავის სასახლეში უუბრწყინვალესი ირაკლი ბატონიშვილი, ძე საქართველოს ტახტის მემკვიდრის ალექსანდრესი.

* * *

კავკასიის მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ამ თვის 18-ს მოსულა ბაქოში, სადაც ქალაქის შესავალთან დიდ-ძალი ხალხი, სამოქალაქო და სამხედრო უწყებისა და ქალაქის წარმომადგენელნი დახვედრიან. სამი დღე დაუყვია აქ თ. დონდუკოვ-კორსაკოვს და ამ ხნის განმავლობაში დაუთვალიერებია ბაქოს სასწავლებლები: რეალური გიმნაზია, წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელი, სომხის სკოლა, საავათმყოფო, ზღვის სკოლა და სხვ. დაუკლია აგრეთვე ნავთის ქარხნები და ადგილობრივ მცხოვრებლების დეპუტაცია მიუღია; მაჰმადიანთ დეპუტაციას, სხვათა შორის, უშუამდგომლებიათ, რომ მოკლულს და უცაბედად მიცვალებულ მაჰმადიანებს ნუ გაჭრიან ექიმებიო, რადგან ეს ჩვენი რჯულის წინააღმდეგიაო.

* * *

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ გრაფ ლორის-მელიქოვს მომავალ მაისის თვის პირველს მოელიან აქაო. „სხვა-და-სხვა ხმები იყო პეტერბურღში გავრცელებულიო, ამბობს ამ საგნის შესახებ გაზ. „რუსის კურიერი“ ვითომ რაღაც მიზეზები უშლის გრაფს ლორის-მელიქოვს პეტერბურღში დაბრუნებას, მაგრამ ეს ხმები ტყუილი გამოდგა.“

* * *

ამას წინათ გვწერდნენ ქუთაისიდამ, აქ გავრცელებულია ხმაო, რომ სხვათა შორის, პოლკოვნიკი თ. აბაშიძე—გორლენკო მო[illegible]ლიდამ ქუთ. გუბერნიის მარშლობაზე კენჭის-საყრელათაო. არ ვიცით რამდენად მართალია ეს ამბავი, მაგრამ ეს კია, რომ გუშინწინ მოსულს გაზ. „რუსკი ინვალიდში“ ვკითხულობთ, რომ „არმიის კავალერიის პოლკოვნიკი თ. აბაშიძე—გორლენკო თერთმეტის თვით დათხოვნილია სამსახურიდამ რუსეთში და სამზღვარ გარეთ წასასვლელათაო“.

* * *

ჯავახეთის ახალ ქალაქიდამ გვწერენ:

„ძლიერ ცუდი ამინდებია აქეთკენ. საშინელი წყალ-დიდობა. მტკვარი მოჰყვა არტაანიდამ და რაც კი მაზედ ხიდები იყო ტფილისამდინ, თითქმის ყველა წაიღო. ამბობენ, არტაანის ხიდიც დაშალაო, ვარძიის მონასტრისა და ახალციხე-ახალქალაქის ტრაქტისა და თუ ეს მართალი გამოდგა, თუ აწყვერის ხიდიც წაიღო, მაშინ თქვენი მტერი, რა მდგომარეობაშიაც ჩვენ ჩავვარდებით უფოჩტობით; ალექსანდროპოლზე უნდა მოიაროს ფოჩტამ და ადრეც გვეღირსება“!..

* * *

სიღნაღიდამ იწერებიან გაზეთს „კავკაზში“ 21 აპრილს:

„ადგილობრივ კამანდის 10 კაცს 12 ტუსაღი მოჰყავდა სიღნაღში. როდესაც მდ. ფშის ხიდთან მოსულან, სამი ტუსაღი თათარი გაქცეულა, მაგრამ ერთი იმათგანი იქვე დაუჭერიათ, მეორე სალდათებს მოუკლავთ და მესამე კი მძიმედ დაჭრილი, წყალში ჩავარდნილა, ჩქარ მდინარეს მოუტაცნია და დამღრჩვალა.

„ადგილობრივ კამანდის უფროსს ეს ამბავი თავის უფროსის გუბერნიის ჯარის უფროსისათვის მოუხსენებია და ამავე დღეს ამისაგან მიუღია ტე-

---

თუმცა კი ლაპარაკის შინაარსი სრულებით არ მესმოდა, რადგანაც ებრაულად ლაპარაკობდნენ.

ოჰ ღმერთო ჩემო. თითქო ეხლაც მესმის ეს ხმა. ნეტაი მაშინ შემეტყო და გამომეცნო—თუ რა ხდებოდა იმ ჩაკეტილ კარებს უკან,—დავიყვირებდი, თუნდაც ავეკუწეთ.

იქ იყვნენ სამნი. პირველი ჯავრობდა და, როგორც ეტყობოდა იწყევლებოდა; მეორე გულ-გრილად ლაპარაკობდა და მკვახეთ ისროდა სიტყვებს; მესამე კი თითქო რაღასაც ეხვეწებოდა, მტირალის ხმით რაღასაც ელაპარაკებოდა.

ცნობის-მოყვარეობა ამოსუნთქვასაც მიშლიდა. სულ სმენათ გადავიქეცი. მინდოდა შემეტყო—თუ რას ნიშნავდა ამ გვარი ლაპარაკი. მე მეგონა, რომ რაღაც საშინელი ხდებოდა, იმისთანა საარაკო ამბავი, რომ ადამიანს ვერ შეეძლო წარმოედგინა...

კინაღამ გავგიჟდი. ხმაურობა გაწყდა, მოისმოდა მარტო დიდი მაკრატლის ჩხრიალი. თითო იმისი დაჩხრიალებაზე ცივს ოფლს მასხამდა. ხან-დის-ხან საშინელი კვნესა მოისმოდა...

ხმაურობა ხელ-მეორეთ დაიწყო. ეხლა გარკვევით მესმოდა ყველაფერი. უთუოდ შიგნით რომელიმე კარები გაიღო. კიდევ ებრაულად ლაპარაკობდნენ. დაწყევლილი ენა! ურია ჯავრობდა, ცოლი უბრძანებდა; ის ხმა კი, რომელიც ეხვეწებოდა და რომელმაც ისეთი შთაბეჭდილება და გრძნობა აღძრა ჩემში, გამოიცვალა: ის ეხლა ხვეწნის მაგივრათ, რაღაზედაც ჯავრობდა და ღელდებოდა. უოჰალ! აი მაგრე! სწორეთ მაგრე უნდა თავის დაცვა!

მშვენიერი ხმა გაჩუმდა. ეხლა სხვა ხმა ისევ ისე გულ-გრილად და მკვახეთ ლაპარაკობდა.

ბოლოს ველარ მოვითმინე: მივაწექი კარებს... არ გაიღო. საშინელი ყვირილი და ხრიალი მომესმა, ასე მგონია ვისმეს ჰკლავენო...

ვიშიშველე ხმალი, დავკარი კარებს. კარები გაიღო. შურდულივით შევარდი...

წარმოიდგინეთ, რა სურათი წარმომიდგა წინ: მოხუცი დედაკაცი იდგა კბილებ-დაკრეჭილი, საშინელის შეხედულებით. ებრაელს პირზე კიდევ წყევლა ჰქონდა, ხელში ნათლად გახურებული რკინა ეჭირა. საწყალი სარრა კი მკვდარივით გაყვითლებული, თავ-გადაპარსული, სახე დამწვარი და დალაქავებული ეგდო ძირს... ადრინდელი სილამაზისა აღარაფერი ჰქონდა.

— ბებერო მგელ-კაცავ, მხეცო! რას სჩადი!

მივვარდი ამ უსვინიდისოებს. სიმწარით და სიანჩხლით აღარაფერი მესმოდა. ორივეს დავხოცდი, თუ ვილასაც ფეხებში ხელი არ მოევლო. ეს იყო სარრა, რომელიც თითქო მაინც კიდევ იფარავდა თავის მკვლელებს.

— რა შენი საქმეა? რას ერევი?! ჰყვიროდა ის გამწარებული. წადი აქედამ. დაანებე თავი, აასრულონ თავიანთი სამართალი...

როგორ! მაშ იმისი ნებაც ყოფილა? ის საშინელი წვალება, ისე დამახინჯება მისი მშვენიერი სახისა სამართლიანი ქცევა იყო მისთვის! ის დიდის მოთმინებით და თავ-დახრილი ემონებოდა მათ მხეცურ სურვილს. განა ეს კაცის მკვლელობა არ იყო?

ეს იყო მამის და სახლობის გასამართლება თავიანთ ურჩს შვილისა.

იმ ქალის ამ გვარმა ლაპარაკმა უფრო გამაანჩხლა. მზათ ვიყავ იმის დედ-მამის მაგივრათ ის ამეკუწა, მაგრამ რაღაც უცნაურმა ძალამ შემამაგრა. გიჟივით შევყურებდი ამ დამახინჯებულ ქალს და ბოლოს გიჟივითვე გამოვვარდი გარეთ ამ დაწყევლილის სახლიდამ.

აღარ მახსოვს როგორ გავჩნდი ქუჩაში. შიშველი ხმალი ხელში, პირუკუღმა დახურული ქუდით როგორც მთვრალი მივბარბაცებდი.

მეორე დღეს ავად გავხდი და თუთხმეტი დღე გავატარე საავადმყოფოში.

შემდეგ გადმომიყვანეს პარიჟში და მას აქეთია აქა ვარ.

(დასასრული)

ლეგრამმა, რომ უნტერ-აფიცერს პოზოროკს, რომელიც ტუსაღებს მიუძღოდა, უფროს უნტერ-აფიცრობა მიეცათ, თქვენ გმადლობთ, მადლობა გამოუცხადეთ ყველა დანარჩენ სალდათებს სიმარჯვისათვის და თითომან. ჯილდო მიეცემათ იმათაო".

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. ხ სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

—

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

**ჭყონია**

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში.(5—5)

## ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

ოზურგეთის მაზრის კეთილ-შობილთა წინამძღოლი აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს მაზრის თავად და აზნაურთ:

I. მობრძანდნენ ქ. ქუთაისში 30 ამ აპრილს, დილის ათ საათზედ ოზურგეთის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ კრებაზედ, რომელიც უნდა შესდგეს: ა) მოსამზადებელად და მოსასხდენათ სხვა-და-სხვა განკარგულებისა მომავალი მაისის საგუბერნიო კრებისათვის, ბ) მოსალაპარაკებლად თავიანთ საჭიროებაზედ.

II. წარმოუდგინონ მას კანონიერი საბუთები, რომლითაც შეეძლებათ მიიღონ მონაწილეობა ყოველ საგნის განხილვაში და წინამძღოლების ამორჩევაში. (6—6)

არწრუნის თეატრში

პარასკევს, 30 აპრილს

ბენეფისი

თეატრის ადმინისტრატორის

**ა. ჩუბინოვისა**

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**მაიკო**

დრამა 3 მოქმ. და 5 სურათად, თხზ. ბეკლემიშევისა.

II

**ლეკური**

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში. დასაწყისი 8 საათზე.

ექიმი შტემბორსკი

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სადოვის ქუჩა, სახლის № 50. (10—4)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—79)

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" მმართებლობა ამით აცხადებს, რომ მისგან დაარსებულს ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია ოთხ სათვიდამ. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა ამ საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—3)

სადგომი

8 და 4 ოთახიანი იძლევა ქირით ვორონცოვის წყლის-ნაპირა ქუჩაზედ, სახლის № 13. ჰკითხეთ სახლის-პატრონს ისარლოვისას. (3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—13)

**იურიდიული კაბინეტი**

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბელოევის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

აქ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—22)

**გიორგი ნ. ძის იოსელიანის** და **გ. რეცოლდის პანსიონში** იღებენ ზაფხულის თვეებში ყმაწვილებს მოსამზადებლად სამხედრო და სამოქალაქო გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, საოსტატო ინსტიტუტში და სხვ.

მიხაილოვის ქუჩა სახლის № 81 (2—2)

დაიბეჭდა და ისყიდება

# ქურუმ

# ყარამანისშვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო ტობალაძესთან.

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | | | ჩაის უ... | |
| — — | 1 მ. | 10 კაპ. | — | 1 მ. | 40 |
| — — | 1 „ | 20 „ | — | 1 „ | 60 |
| — — | 1 „ | 40 „ | — | 1 „ | 90 |
| — — | 1 „ | 60 „ | — | 2 „ | 20 |
| — — | 1 „ | 80 „ | — | 2 „ | 50 |
| ხუთმეტეხი | 2 მანეთ. | | — | 3 მანეთ. | |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან ქაღალდით. (100—100)

**ისყიდება**

თფილისის წიგნის მაღაზიებში ... ლად-გამოსული რუსულს ენაზე წ... ნი.

**Грузинскія крестьянскія грамот... крѣпостные и судебные акты, гр... моты и письма грузинскихъ и пе... сидскихъ царственныхъ особъ. (М... теріалы для исторіи древной Гр... зіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძ... მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდ... თფილისის წიგნის მაღაზიებში

იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუ...გან გალექსილი თ. რ. ერისთვის...

**ტაქსის**

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომე... იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებით 1 აპრილ... 1 მაისამდის.**

| | | |
|---|---|---|
| **გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვ...** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 |
| მეორის „ | —1 გირ. | 3 |
| მესამის „ | —1 გირ. | |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვ...** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |
| **ჯვარის-მამის პური:** | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 |
| **ძროხის ხორცი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 |
| **ღორის ხორცი:** | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

ახლად ჩამოსული

# ბებია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელ... წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საზ... მო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღ... ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის და... ზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.

ბებია-ქალი **დობროდეევა—კაჭინსკისა.**

(24—16)